ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი 22.11.2022.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი ჩახვაძე და გიორგი გოგუაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წერილი, რის საფუძველზეც სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აუცილებლობიდან გამომდინარე აღნიშნულ ა(ა)იპ-ს გაეზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 148200 ლარით, მათ შორის საქონელი და მომსახურების 73200 ლარით არაფინანსური აქტივების 45000 ლარით შემცირების ხარჯზე და 30000 ლარით ზრდა მოხდეს მუნიციპალიტეტის სანებართვო მოსაკრებლის შემოსავლების ზრდის ხარჯზე.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე აუცილებელია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. ასევე მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს დაეწერა კიდევ რამდენიმე ა(ა)იპ-ის წერილი

ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც განხილვის შემდგომ ასახული იქნება დაზუსტებულ განმარტებით ბარათში.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ წლის ბიუჯეტი არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და აუცილებელია მისი სწორად დაგეგმვა, რომ განსაკუთრებით წლის ბოლოს არ მოხდეს მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე მან განმარტა, რომ მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილ საკითხს.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-1(გიორგი გოგუაძე).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 14330,0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 934,7 თასი ლარით (6,9 %-ით). დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11117,5 ათასი ლარით;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,0 %-ით (1778,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით; ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1200,0 ათას ლარს;

2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 200 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270,0 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა დონის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი ტრანსფერი 270.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დაფინასებაზე;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 25 ათ ლარით გაიზარდა (10,2%-ით) .

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 110,0 ათასი ლარი; 2022 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 42,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში. შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1850.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 25,0 % -ით. (2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გათვლილია 2022 წლის მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით) არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 10,5 ათასი ლარს; ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათ.ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19000,0 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 3211,7 ათასი ლარით).აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ➢ ინფრასტრუქტურის განვითარება - 4342,9 ათასი ლარი; მათ შორის:
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 2440,0 ათასი ლარი;
- ✓ წყლის სისტემების განვითარება -160,3 ათასი ლარი;
- ✓ გარე განათება - 769,5 ათასი ლარი;
- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები-150,0 ათასი ლარი;
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 23,1 ათ ლარი
- ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 700,0 ათასი ლარი:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ✓ ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათ. ლარი
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2324.0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2049.2 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

- ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 254.8 ათასი ლარი**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

- ✓ **უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 3248,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 3217,6 ათასი ლარი;

2021 წელთან შედარებით ცვლილება არ განხორციელებულა;

- ✓ განათლების ღონისძიებები - 31,0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3027,4 ათასი ლარი მათ შორის:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1359,6 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1647,8 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1055,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 193,1 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის

დაცვის ხელშეწყობა;

სოციალური პროგრამები - 862,0 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

მმართველობა - 5002,0 ათასი ლარი, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება - 1287,0 ათასი ლარი; მერია - 3355,0 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი; სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური- 180,0 ათასი ლარი; სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 90,0 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -31,9 ათასი ლარი. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 20,0 ათ ლარი

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4763.9 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 180,0 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 2563.1 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 2304 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1799.8 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 193,1 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია-3027.4 ათასი ლარი;*
- *განათლება -3248.6 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა -862 ათასი ლარი;*

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად **როლანდ ლაშხიამ** კომისიას წარუდგინა: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები); ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის შესრულების შესახებ; ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ; ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შ.პ.ს.-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ია მოქიამ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ ბიუჯეტში ასახული იყო თუ არა სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯის გაზრდა, რაზეც როლანდ **ლაშხიამ გააკეთა** განმარტება, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ხარჯის გაზრდა.

ვერიკო კვირკველიამ დასვა შეკითხვა გენდერული თანასწორობის საბჭოს დაფინანსებასთან დაკავშირებით, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** უპასუხა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს ბიუჯეტი 2023 წლისთვის განისაზღვრება 11500 ლარით.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპების მუშაობა რომ იყოს შედეგიანი და ეფექტური, ამისათვის საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოწვეულ იქნას ყველა ა(ა)პის ხელმძღვანელი და სხდომაზე მოხდეს განხილვა მათი მომდევნო წლის ბიუჯეტის, რაზეც როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ იგი მერთან ერთად შეხვდა ყველა ა(ა)იპის ხელმძღვანელებსა და ბუღალტრებს და მათთან ერთად მოხდა ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელსაც ასევე ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე. შესაბამისად ა(ა)იპის ხელმძღვანელობის მიერ დაყენებული მოთხოვნები და წინადადებები წლის ბიუჯეტში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. **გიორგი ჩახვაძემ** ასევე გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, იმის გამო, რომ ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის" არცერთი მწვრთნელი არ არის გადამზადებული და არ აქვთ მინიჭებული კატეგორია, სკოლა ვერ იღებს უეფას მიერ 80000 ლარით დაფინანსებას. ამიტომ აუცილებელია ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დასაქმებულები იყვნენ პროფესიონალები და კვალიფიციური პირები, ვინაიდან საქმე ეხება მომავალი თაობის აღზრდას.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება პრიორიტეტის დოკუმენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მომდევნო წლებში უპოვართა სასადილოს ბენეფიციართა რიცხოვნობა შემცირების ნაცვლად გაზრდილია, რაც პრემიერის მიერ გაჟღერებულ გაზრდილი ეკონომიკის ფონზე შეუსაბამოა.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ სუფსის სამუსიკო სკოლის შენობაში ჩაინგრა იატაკი, რაც საფრთხეს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის. შენობა მართალია გადაიხურა, მაგრამ ამორტიზირებულია და არ ექვემდებარება რემონტს. ამიტომ აუცილებელია გამოინახოს რაიმე ალტერნატიული ფართი ან აშენდეს ახალი შენობა. **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ თუ შენობა იყო ამორტიზირებული

ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ უნდა დადებულიყო შესაბამისი დასკვნა და არ უნდა მომხდარიყო შენობის გადახურვა.

ვლადიმერ ნანაძემ აღნიშნა, რომ ახალაშენებული პროფესიული სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია რკინის ნაგვის ურნები და ტერიტორია არის მოუწესრიგებელი, რაც სასწრაფოდ მისახედია, ვინაიდან იანვრის თვიდან სასწავლებელი იწყებს ფუნქციონირებას.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ მილხიდების მოვლა-პატრონობისთვის მიზანშეწონილია გაიზარდოს გზების შეკეთების პროგრამის დაფინანსება და ასევე გაიზარდოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინასება 50%ამდე. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალური ტრანსპორტის პარკის განახლება.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებს ესაჭიროებათ შესაბამისი სამოსი, როცა ისინი სტიქიის დროს გადიან ობიექტებზე.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ შენიშვნებში ერთერთი გასათვალისწინებელი შენიშვნა არის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა კვლევის დაფინანსების საკითხი.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ მოხდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, რის შემდგომაც ფრაქციამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და „ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა“ კომისიამ წარმოადგინეს შენიშვნები. ასევე საკრებულოში შემოვიდა სარეკომენდაციო წერილი სამოქალაქო საზოგადოების მიერ, რომელშიც ასახულია მომავალი წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი მოსაზრებები და წინადადებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნება მერისთვის შემდგომი დამუშავებისთვის.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს შენიშვნების გათვალისწინებით:

- **გაიზარდოს მილხიდების მოვლა-პატრონობისთვის გზების შეკეთების პროგრამის დაფინანსება.**
- **გაიზარდოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება 50%ამდე.**

მომხრე-5, წინააღმდეგი-1(გიორგი გოგუაძე).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

სხვადასხვა

- **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მერიას გაუგზავნა წერილი სასულიერო გიმნაზიის ფასადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მერიის მიერ დაბრუნებულ საპასუხო წერილში აღნიშნული იყო, რომ მერიის კომპეტენციას არ წარმოადგენდა მის მიერ დასმული საკითხის მოგვარება. მან დააყენა წინადადება, რომ გაიზარდოს რელიგიის

მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსება 150000 ლარამდე, რომელიც საკმარისი იქნება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ყველა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დგას საგამოძიებო სამსახურის მანქანები და დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული შესახებ ინფორმირებული ადგილობრივი ხელისუფლება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

22.11.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

2022 წლის 22 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

- გაიზარდოს მილხიდების მოვლა-პატრონობისთვის გზების შეკეთების პროგრამის დაფინანსება.
- გაიზარდოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება 50%ამდე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.11.2022 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	ია მოქია	11 00	
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10 55	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 50	
7	გიორგი გოგუაძე	11 00	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	